

მხეიძეთა საგვარეულოს ისტორიული ნარკვევი

ქართულ ისტორიულ წყაროებში თავად მხეიძეთა გვარი სხვადასხვა ფორმით გვხვდება: მხეიძე, ფხეიძე, მხეციძე, ხეიძე, მხეცია, ხეცია.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში “აღწერა სამეფოსა საქართველოსა” მხეიძეთა გვარს არგვეთის “აწინდელთა ჟამთა” უწარჩინებულეს საგვარეულოთა შორის იხსენიებს.

ქართლ-კახეთის მეფის, გიორგი XII-ის, ვაჟი - იოანე ბატონიშვილი - ქართველ თავად-აზნაურთა გვარების “აღწერაში” მათ შესახებ წერს შემდეგს: “ფხეიძე არიან ძირით სალიპარტიანნი, ნათესავნი ორბელიანი ლიპარტისო.”²

ისტორიული გადმოცემის მიხედვით VIII საუკუნის პირველ ნახევარში არგვეთის (ზემო იმერეთის) “მთავრებად” მხეიძეთა გვარის წევრები იხსდნენ.³

736 წელს არაბებმა მურვან ყრუს მეთაურობით დალაშქრეს საქართველო. დამპყრობლებთან ბრძოლაში გამირულად დაილუპნენ არგვეთის “მთავარნი” - დავით და კონსტანტინე მხეიძეები.⁴ ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ძმები დავით და კონსტანტინე მხეიძეები წმინდანებად შერაცხა.⁵

ქართულ ისტორიულ წყაროებში მხეიძეთა გვარი XI საუკუნიდან ჩანს. XI საუკუნის ერთ-ერთ საწინამძღვრო ჯვრის წარწერაში იხსენიება ამ გვარის წარმომადგენელი: “...იესო ქრისტე, განუსვენე სულსა მხეციძისა.”⁶



წმ.დავით და კონსტანტინე მხეიძეები

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპებში მოხსენებულია XIII საუკუნის მოღვაწე, მოლარეთუხუცესი ბემუკენ მხეციძე.⁷

ლიხთ-იქითის (იმერეთის) მეფის, მიქელის, 1326 წლის სიგელში მოიხსენიება სამეფო დარბაზის წევრი - “დარბაისელი მხეციძე”.⁸

XIV-XV საუკუნეების ქართული ჭედური ხატების წარწერებში მოიხსენიებიან მხეიძეთა გვარის წარმომადგენლები: ფირან მხეციძე და მისი თანამეცხედრე - ელენე აბაშიძის ასული,⁹ ქაიხოსრო მხეციძე და მისი თანამეცხედრე - ანა ერისთავის ასული.¹⁰

1488 წელს შედგენილ ფალავანდიშვილთა სასიხლო სიგელში, მოწმეთა შორის, დასახელებულია მოლარეთუხუცესი სარგის მხეციძე.¹¹

მოლარეთუხუცესობა მხეიძეებს, როგორც ჩანს, ერთიანი ქართული მონარქიის პერიოდში ჰქონდათ და ეს სახელო ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობის ხანაშიც შეინარჩუნეს.



სარგის მხეციძის მიერ გელათის მონასტრისადმი შეწირული ღვთისმშობლის ხატი

1505-1519 წლებს შორის დაწერილ ერთ სიგელში მოლარეთუხუცეს სარგის მხეციძესთან ერთად დასახელებული არიან მისი შვილებიც: გიორგი, ქაიხოსრო, ჯანგაზ, ზურაბ, ფირან და გარსევან.¹²

იმერეთის სამეფო კარზე სარგის მხეციძეს მოლარეთუხუცესის სახელო ეჭირა. იგი, ასევე, ენათესავებოდა მეფეს - მისი მეუღლე, ელენე - “მეფეთ-მეფისა ბაგრატისა (II) დისწული, ამირანდო ამილახორისა ასული” ყოფილა.¹³

მოლარეთუხუცესი სარგის მხეციძე ძლიერი და მდიდარი თავადი იყო. მისი ბრძანებით მოიჭედა რამდენიმე ხატი, რომლებიც მან გელათის მონასტერს შესწირა.

XV საუკუნის ბოლოს იწყება ერთიანი საქართველოს დაშლა და ცალკეული სათავადოების ჩამოყალიბება. ზუსტად ამ დროსაა სავარაუდო მხეციძეთა სათავადოს შექმნა. მხეციძეთა სათავადოში შედიოდა რამდენიმე სოფელი: ზედ-უბანი, დაბაძველი, ივანოული, საწირე, ნავენახევი და ფარცხანაყანევი.¹⁴ ამ სოფლებს ეწოდებოდა “სამხეიძო.” მხეციძეთა სათავადოს საზღვრები იყო: აღმოსავლეთით-ლალორიისა და ვაშალას ტყე, დასავლეთით-სოფელი ღელვა, ჩრდილოეთით-სოფელი ახალდაბა და სამხრეთით-ძუყნური.¹⁵ თავად მხეციძეთა რეზიდენცია იმყოფებოდა სოფელ ზედ-უბანში. აქვე ჰქონდათ მათ სასახლე და კარის ეკლესიაც. მდინარე

ჭალის-წყლის პირას იდგა მხეიძეების მიერ აგებული ციხე-სიმაგრე, რომელიც საწირის ციხის სახელითაა ცნობილი.¹⁶ საგვარეულო საძვალე თავად მხეიძეებს ზედუბნის წმინდა გიორგის ეკლესიაში ჰქონდათ.



იმერეთის მეფე ალექსანდრე II

მხეიძეთა სათავადოს აზნაურები იყვნენ როინიშვილები.¹⁷ თავადი მხეიძეების ყმა გლეხები იყვნენ: კუბლაშვილები, შარვაძეები, აშოთიები, ბოჭორიშვილები, ასათიანები და გვენეტაძეები.¹⁸

მხეიძეთა სათავადოს საგადასახადო შეუვალობა ჰქონდა მოპოვებული. სამეფო გადასახადს (საურს) ამ საგვარეულოს ყმათაგან მხოლოდ 10 კომლი იხდიდა.¹⁹

მხეიძეების სათავადოს, ისევე როგორც სხვა სათავადოებს, უნდა ჰყოლოდა თავისი მოხელეები (მოურავი, მდივანი, ხელოსანი, მამასახლისი და სხვა), რომელნიც გამოყენებული იქნებოდნენ ყმა-მამულის მართვაში, მაგრამ ამის შესახებ ისტორიულ წყაროებში ცნობები არ არის დაცული.



იმერეთის მეფე ბაგრატ III

1531 წელს, მოლარეთუხუცეს სარგის მხეიძის გარდაცვალების შემდეგ, დაიწყო მხეიძეთა სათავადოს დასუსტება. ამას დაემატა მათი დაპირისპირება იმერეთის მეფეებთან.²⁰

1545 წელს იმერეთის მეფემ, ბაგრატ III-მ (1510-1565), მოლარეთუხუცეს სარგის მხეიძის ერთ-ერთ შვილს ჩამოართვა სოფელი ნავენახევი და გელათის მონასტრის ღვთისმშობლის ტაძარს შესწირა.²¹ შემდეგ, სარგის მხეიძის მემკვიდრის - ჯანგაზის - შვილს “მისი ბიძის გიორგის სასიხლო საქმე შეხდა” და იძულებული გახდა მრავალი ყმა-მამული გაეყიდა.²²



გელათის მონასტერი

XVI საუკუნის მიწურულს მხეიძეთა საგვარეულოს ჩამოერთვა მოლარეთუხუცესის თანამდებობაც, რომელიც XVIII საუკუნეში ჯაფარიძეებს გადაეცათ.²³

XVI საუკუნის ბოლოსთვის მხეიძეთა თავადური გვარი ყოველმხრივ დაქვეითებულია. ასევე დაქვეითებულ მდგომარეობაში რჩებიან მხეიძეები მომდევნო საუკუნეებშიც.

იმერთა მეფის, ალექსანდრე III-ის (1639-1660), მმართველობის პერიოდში მხეიძეებმა მცირე ხნით დაიბრუნეს სამეფო კარზე პატივით სარგებლობა. მეფე

ალექსანდრე III-ის 1651 წლის ცნობილ ფიცის წიგნს, იმერეთის სამეფოს წარჩინებულ თავადებთან ერთად, მხეიძეთა საგვარეულოს ხუთი წევრი აწერს ხელს. ესენი იყვნენ: პაპუნა, ფირან, ხოსია I, ხოსია II და იამადა მხეიძეები.²⁴ მიუხედავად ამისა, მხეიძეთა საგვარეულოს წევრები იმერეთის სამეფოს მმართველობის აპარატში აღარ მონაწილეობენ.



იმერეთის მეფე ალექსანდრე III

იმერეთის მეფის, ბაგრატ IV-ის (1660-1681), დროს მხეიძეთა გვარის ორ წევრს - კაციას და ხოსიას - მესტუმრეთუხუცესის სახელოები უკავიათ.²⁵ კაცია მეფე ბაგრატ IV-ის მესტუმრეთუხუცესი იყო, ხოლო ხოსია - თამარ დედოფლისა.

1669 წელს ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის მეფის - ალექსეი მიხეილის ძის - სახელზე გაგზავნილ წერილში კაცია, ხოსია და მათი სახლიკაცი ჟოჟუა, მეორეხარისხოვან თავადებს ("ბოიარებს") შორის არიან დასახელებულნი.²⁶

XVII საუკუნის 80-იან წლებში თავად მხეიძეთა საგვარეულოს წევრი - ფირანი - დაუნათესავდა სამეგრელოს მთავართა ოჯახს. მან ცოლად შეირთო ბეჟან დადიანის (1714-1728) და - მზეხათუნი. მათი შვილი, პაატა - ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, "ბეჟანის გამო" განუდგა იმერთა მეფეს - გიორგი VI-ს (1703-1720).²⁷ მეფე გიორგი VI-მ სცადა პაატა მხეიძის დამორჩილება. გიორგი VI ჯარით მოადგა საწირის ციხეს, სადაც გამაგრებული იყო პაატა მხეიძე, მაგრამ ვერ შეძლო მისი აღება და "უკუმოიქცა გეგუთს." გიორგი VI-ის მემკვიდრემ, ალექსანდრე V-მ (1720-1752), შეირიგა მხეიძეთა საგვარეულო. მეფემ ხოსია მხეიძეს 1733 წელს მეღვინეთუხუცესის თანამდებობა უბოძა.²⁸

თავად მხეიძეთა გვარის წარმომადგენლები XVII ს.-დან მოყოლებული - XIX ს.-ის დასაწყისამდე, ოკრიბის მოურავებიც იყვნენ. ამ თანამდებობაზე, 1691 წელს, ვხედავთ კაცია მხეიძეს,²⁹ 1700 წელს - ფირან მხეიძეს,³⁰ ხოლო 1786-1803 წლებში - გიორგი მხეიძეს.³¹



იმერეთის მეფე გიორგი VI

XVIII ს.-ის 30-იანი წლების ბოლოს თავად მხეიძეთა გვარი დაუნათესავდა კახეთის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახს. მეფე ერეკლე II-მ ცოლად შეირთო ზაალ მხეიძის ასული, ქეთევანი, რომლისგანაც ეყოლა პირმშო - ვახტანგი.³²

იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის (1752-1784), მმართველობის დროს მხეიძეთა საგვარეულოს წევრს, გიორგის ერთხანს (1759 წელს), ქეშიქთუხუცესის სახელი ეჭირა, მაგრამ მცირე ხნით.³³

იმერეთის სამეფოში, 1810 წელს, რუსული მმართველობის სისტემის დამყარებასთან დაკავშირებით, მხეიძეთა სათავადო ადმინისტრაციულად გაუქმდა.

1819-1820 წლების იმერეთის აჯანყებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მხეიძეთა საგვარეულოს წევრები: ბეჟან მხეიძე,³⁴ გიორგი მხეიძე³⁵ და კიდევ მეორე გიორგი მხეიძე.³⁶ იმერეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ მათ მამულები ჩამოერთვათ და ისინი რუსეთის იმპერიის სახაზინოდ გამოცხადდა.

თავად მხეიძეთა იმერეთის შტოს ბოლო წარმომადგენელი, გიორგი მხეიძე, დაუნათესავდა იმერეთის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახს. მისი მეუღლე, მარიამი იყო მეფე სოლომონ II-ის ძმისშვილი. გიორგის გარდაცვალების შემდეგ შეწყდა თავად მხეიძეთა იმერეთის შტო. ჩვენ დრომდე მოაღწიეს მხეიძეთა იმერეთის შტოს მხოლოდ აზნაურთა წარმომადგენლებმა, რომლებიც დღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამეგრელოში გადასახლებულ მხეიძეთა გვარის მეგრული შტოს ფუძემდებელი არის სწორედ ის ფირან მხეიძე, რომელიც დაუნათესავდა სამეგრელოს მთავართა ოჯახს XVII საუკუნის მიწურულს. მისმა ვაჟმა, პაატამ, თავის შვილს ბეჟანი დაარქვა ბიძის - ბეჟან დადიანის - პატივისცემის გამო. ბეჟან მხეიძე ითვლება მხეიძეთა გვარის მეგრული შტოს მამამთავრად და

ისტორიულ საბუთებში გვხვდება XVIII ს.-ის 40-იანი წლებიდან. XIX საუკუნეში, სამეგრელოში თავადი მხეიძეები ფლობდნენ სოფლებს: თეკლათს, ყულისკარს, სორტას და სენაკს.

დღეს თავად მხეიძეთა გვარის მეგრული შტოს წარმომადგენლები ცხოვრობენ და მოღვაწეობენ საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. “ქართლის ცხოვრება”, ტ.IV. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ.124,753.
2. იოანე ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა 2. იოანე ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. რედაქტორი და გამომცემელი ზურაბ კაცელაშვილი. თბ., 1997, გვ.123; ასევე იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H-3729, ფ.111.
3. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). I. თბ., 1973, გვ.14.
4. წმინდანი მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთა მონასტერი. ქუთაისი, 1906, გვ.3.
5. ქართული ეკლესიის კალენდარი, 1991 წ. თბ., 1991, გვ.75.
6. Н.Кондаков, Д. Бакрадзе. Описание памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии. Грузинские надписи прочтены и использованы Димитрием Бакрадзе. Спб., 1890, стр.56.
7. ე.მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბ., 1962, გვ.21,72.
8. საქართველოს სიძველენი. ტ.II. ე.თაყაიშვილის რედაქტორობით. თბ., 1909, გვ.33.
9. Н.Кондаков, Д. Бакрадзе. Описание памятников..., ук. соч. стр.32.
10. Н.Кондаков, Д. Бакрадзе. Описание памятников..., ук. соч. стр.32.
11. ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. “საისტორიო მოამბე”, წ.II, თბ., 1924, გვ.25.
12. ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ.I. თბ., 1921, გვ. თ.ჯორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. II. თბ., 1897, გვ.354.
13. თ.ჯორდანია. ქრონიკები., I, გვ.354.
14. ო.სოსელია. ნარკვევები ..., I, გვ.17.
15. ო.სოსელია. ნარკვევები ..., I, გვ.18.
16. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა ..., გვ.823.
17. ო.სოსელია. მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში. თბ., 1960, გვ.68.
18. ო.სოსელია. ნარკვევები ..., I, გვ.19.
19. Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. IV. Издание под редакцией председателя комиссии А. Берже. Тифлис, 1870, стр.256.

20. ახალი ქართლის ცხოვრება (მესამე ტექსტი). "ქართლის ცხოვრება". ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959, გვ. 494.
21. საქართველოს სიძველენი. ტ. I, გამოცემა მეორე, წიგნი I. ე.თაყაიშვილის რედაქტორობით. თბ., 1920, გვ. 20-21.
22. საქართველოს სიძველენი. ტ. I, დას. ნაშრ. გვ. 20-21.
23. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში, 1650-1652 წწ. გამოსცა და შესავალი დაურთო მ. პოლიევქტოვმა. თბ., 1926, გვ. 102.
24. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში..., დას. ნაშრ. გვ. 193.
25. Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 по 1770 год. под редакцией М.И.Броссе. Спб., 1861, стр. 83.
26. Переписка на иностранных языках ..., укр. соч. стр. 83.
27. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა ..., დას. ნაშრ. გვ. 226.
28. ს.კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. I. თბ., 1921, გვ. 131.
29. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდისის სამთავროებისა. წიგნი I. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ.ბურჯანაძემ. თბ., 1958, გვ. საბ. №33.
30. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ნკოლექცია). ტ. I. თბ., 1946, გვ. 280.
31. ს.კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. II. თბ., 1926, გვ. 178.
32. პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი და ლექსიკონი დაურთო ე.ცაგარეიშვილმა. თბ., 1981, გვ. 88; Теймураз Багратиони. Известия о грузинских царевичах и царевнах (рукопись.) Институт Востоковедения Академии наук России (Спб. Отделение), шифр Н-32, л. 1-2.; Дворянские роды Российской Империи т. III. Князья. Под редакцией С.В.Думина. Авторы-составители: Петр Гребельский, Станислав Думин, Князь Гудза Апакидзе, Иосиф Бичикашвили, Михаил Катин-Ярцев, Князь Юрий Чиковани и др. Москва, 1996, стр. 69.
33. ს.კაკაბაძე. საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ I-ის დროს. თბ., 1913, გვ. 5.
34. Н.Б. Махарадзе. Восстание в Имеретии в 1819-1820 г.г. Сб. "Материалы по истории Грузии.", вып. III. Тб., 1942, стр. 141, 156.
35. Н.Б. Махарадзе. Восстание в Имеретии..., укр. соч. стр. 141.
36. Н.Б. Махарадзе. Восстание в Имеретии..., укр. соч. стр. 156.


ოსებ ბიჭიკაშვილი

თავადთა ოჯახები

სოფ. ზედუბანი
(იმერეთი)

თავადი ფირან მხეიძე¹
o 1651

I თაობა



*გენეალოგიური ნუსხა №1-ის 4 პირველი თაობა შეადგინა იბიჭიკაშვილმა

- 2/1. ხოსია ფირანის ძე, 1660-1681, მესტუმრეთუხუცესი.
- 3/1. დავით ფირანის ძე, 1661, მდივანბეგი სამეგრელოს მთავრის ვამეყ III დადიანის კარზე.
- 4/2. ვახუშტი ხოსიას ძე, 1696-1714 ~ I. მარეხი, თავად N. ლოღობერიძის ასული; ~ II. ანა ჭილაძე.
- 5/2. ლომკაც ხოსიას ძე, (?-1731 მდე) ~ ანიკა, თავად N. აბაშიძის ასული.
- 6/2. ფირან ხოსიას ძე, 1682-1696 ~ მზეხათუნ დადიანი, გიორგი ლიპარტელიანის ასული, 1696-1700 (2. იმერეთის მეფე გიორგი VII ბაგრატიონი).
- 8/4. ფირან ვახუშტის ძე, 1746 ~ ელენე N.
- 13/5. ვახუშტი ლომკაცის ძე, 1731-1754, მდივანბეგი.
- 15/8. გიორგი ფირანის ძე, 1759-1802, ქეშიქთუხუცესი, ოკრიბის მოურავი.
- 17/10. ქეთევან ზაალის ასული ?-1744 ~ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ბაგრატიონი (1744-1798).
- 18/10. N., ზაალის ასული ~ N. რაჭის ერისთავი.
- 19/13. ნიკოლოზ ვახუშტის ძე, 1810 ~ დარეჯანი, გურიის მთავრის მამია VII გურიელის ასული (?-1813).
- 25/19. მარიამ ნიკოლოზის ასული (?-1813) ~ ალექსანდრე ჟორდანია.
- 27/13. ვახუშტი ბერის ძე, 1798-1817 ~ მარიამ დადიანი.
- 30/23. გიორგი (გოგია) ფირანის ძე (1795-1856 წ.შ.) ~ მარიამი (მამია), იმერეთის ბატონიშვილის მამუკა ბაგრატიონის ასული (1803-1848 წ.შ.).
- 31/23. ბეჟან ფირანის ძე, 1803-1820 ~ რუსუდანი, თავად გრიგოლ ასათიანის ასული (1811-?).
- 35/20. N., ვახუშტის ასული ~ N. მიქელაძე.
- 36/20. N., ვახუშტის ასული ~ ბეჟან ლორთქიფანიძე.
- 37/30. მართა გიორგის ასული (1819-15.01.1856) ~ 11.07.1855 აზნაური ბიჭია ივანეს ძე აბაშიძე (1815-?).
- 38/30. N. გიორგის ასული ~ კაპიტანი N. პავლენკო. მათი ასული ალექსანდრა (1882) მისთხოვდა აზნაურ დიმიტრი ივანეს ძე ბაქრაძეს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ნუსხა №1

1. ფირან მხეიძე (1651)

წყაროები:

1. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში, 1650-1652 წწ. საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მ.პოლიევკტოვმა. თბ., 1926, გვ.193.

ლიტერატურა:

1. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. ტ. I. თბ., 1973, გვ.20.
2. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).

2/1. ხოსია ფირანის ძე მხეიძე (1660-1681)

ლიტერატურა:

1. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის., ტ. I. დას. ნაშრ. გვ. 20-21.
2. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).
3. М.Броссе. Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1659 по 1770 гг. Спб., 1861, стр.83.

3/1. დავით ფირანის ძე მხეიძე (ო 1661)

ლიტერატურა:

1. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის., ტ. I. დას. ნაშრ. გვ. 20-21.
2. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).

4/2. ვახუშტი ხოსიას ძე მხეიძე (ო 1696-1714)

= მარეხი, თავად N. ლოღობერიძის ასული

ლიტერატურა:

1. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის., ტ. I. დას. ნაშრ. გვ. 20-21.
2. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (იქვე მეუღლის შესახებ), (ხელნაწერი).

5/2. ლომკაც ხოსიას ძე მხეიძე (?-1731) = ანიკა, თავად N. აბაშიძის ასული

ლიტერატურა:

1. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის., ტ. I. დას. ნაშრ. გვ. 20-21.
2. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (იქვე მეუღლის შესახებ), (ხელნაწერი).
3. Дворянские роды Российской империи. т. IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

6/2. ფირან ხოსიას ძე მხეიძე (ო 1696-1742)

= მზეხათუნ დადიანი, თავად გიორგილი პარტიანის ასული (ო 1696-1700)

წყაროები:

1. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (N კოლექცია). ტ. I. თბ., 1946, გვ. 280.
1. საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი (სცია), ფონდი 1448, საქმე №2209 - შეწირულობის წიგნი (1696 წ.), (იქვე მეუღლის შესახებ), (ხელნაწერი).

ლიტერატურა:

1. ს.კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. I. თბ., 1921, გვ. 100.
2. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის., ტ. I. დას. ნაშრ. გვ. 21, 23.
3. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (იქვე მეუღლის შესახებ), (ხელნაწერი).

7/4. ხოსია ვახუშტის ძე მხეიძე (ო 1733-1752)

წყაროები:

1. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.). ნ.ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1940, გვ. 25, საბ. №665.

2. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდისის სამთავროებისა (1466-1770 წწ.). წიგნი I. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ.ბურჯანაძემ. თბ., 1958, საბ.57,70,72,76,81,88,100.

3. სცია, ფონდი 227 (2), საქმე №81, (ხელნაწერი).

4. სცია, ფონდი 1451, დავთარი 16, საქმე №228 - წყალობის წიგნი (1733 წ.), (ხელნაწერი).

ლიტერატურა:

1. ს.კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ.I. თბ., 1921, გვ.131.

2. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის., ტ.I. დას. ნაშრ. გვ.22.

3. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).

8/4. გირან ვახუშტის ძე მხეიძე (ი 1746) = ელენე N.

წყაროები:

1. სცია, ფონდი 1450, რვეული 14, საქმე №875 - ოქმი (1746 წ.), (ხელნაწერი).

ლიტერატურა:

1. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (იქვე მეუღლის შესახებ), (ხელნაწერი).

2. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

9/4. ბერი ვახუშტის ძე მხეიძე (ი 1746)

წყაროები:

1. სცია, ფონდი 1450, რვეული 14, საქმე №875 - ოქმი (1746 წ.), (ხელნაწერი).

2. სცია, ფონდი 1450, რვეული 14, საქმე №2251 - შეწირულობის წიგნი (1800 წ.), (ხელნაწერი).

3. სცია, ფონდი 1450, რვეული 14, საქმე №3224 - შეწირულობის წიგნი (1798 წ.), (ხელნაწერი).

ლიტერატურა:

1. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).

2. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

10/4. ზაალ ვახუშტის ძე მხეიძე (ი 1739-1746)

წყაროები:

1. სცია, ფონდი 1450, რვეული 14, საქმე №875 - ოქმი (1746 წ.), (ხელნაწერი).

ლიტერატურა:

1. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).

2. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

11/4. ბეჟან ვახუშტის ძე მხეიძე (ი 1746)

წყაროები:

1. სცია, ფონდი 1450, რვეული 14, საქმე №875 - ოქმი (1746 წ.), (ხელნაწერი).

ლიტერატურა:

1. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).
2. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

12/5. გიორგი ლომკაცის ძე მხეიძე (ი 1731)

ლიტერატურა:

1. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).
2. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

13/5. ვახუშტი ლომკაცის ძე მხეიძე (ი 1731-1754)

წყაროები:

1. სცია, ფონდი 227 (2), საქმე №56 (ხელნაწერი).

ლიტერატურა:

1. ს.კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ.II. თბ., 1921, გვ.6,8.
2. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის., ტ.I. დას. ნაშრ. გვ.24.
3. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).
4. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

14/5. ილარიონ ლომკაცის ძე მხეიძე (ი 1731)

ლიტერატურა:

1. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).
2. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

15/8. გიორგი ფირანის ძე მხეიძე (ი 1759-1802)

წყაროები:

1. სცია, ფონდი 1448, საქმე №7349 - ნასყიდობის წიგნი (1815 წ.), (ხელნაწერი).
2. სცია, ფონდი 1451, დავთ. 16, საქმე №242 - საზღვრის დადგენის წიგნი (1802 წ.), (ხელნაწერი).
3. საქართველოს სიძველენი, ტ.III. ე.თაყაიშვილის რედაქტორობით. თბ., 1910, საბ. №270.

ლიტერატურა:

1. ს.კაკაბაძე. საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ I-ის დროს. თბ., 1913, გვ.5.
2. ს.კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ.II. ტფ., 1921, გვ.6,178.
3. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის., ტ.I. დას. ნაშრ. გვ.22-24.
4. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).
5. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

16/8. ქაიხოსრო (ქუცნა) ფირანის ძე მხეიძე

ლიტერატურა:

1. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).

17/10. ქეთევან ზაალის ასული მხეიძე (ო 1739-1744)

= ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II(1744-1798)

წყაროები:

1. პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. (1981), დას. ნაშრ. გვ.88 (იქვე მეუღლის შესახებ).
2. ქართული ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (შ) კოლექცია. ტ.III. შეადგინეს და დასაბუჟდად მოამზადეს: თ.ენუქიძემ, მ.ქავთარიამ, ლ.ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველმა, მზ.შანიძემ და ქრ.შარაშიძემ. ელ.მეტრეველის რედაქციით. თბ., 1963, გვ.118,121 (იქვე მეუღლის შესახებ).
3. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 1646/გ, გვ.25-26 (ხელნაწერი), (იქვე მეუღლის შესახებ).
4. Теймураз Багратиони. Сведенияо Грузинских царевичах и царевнах (рукопись). Институт Востоковедения Академии Наук России, шифр Н-32, л.1-2 (იქვე მეუღლის შესახებ).

ლიტერატურა:

1. მ.ბერძნიშვილი. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ.1. თბ., 1980, გვ.204 (იქვე მეუღლის შესახებ).
2. ს.ბიჭიკაშვილი, ი.ჩიქოვანი. ბაგრატიონთა გენეალოგია. თბ., 1993 (ხელნაწერი), (იქვე მეუღლის შესახებ).
3. ი.ბიჭიკაშვილი, დ.ნინიძე, ი.ჩიქოვანი. საქართველოს სამეფო დინასტიის - ბაგრატიონების გენეალოგია, ტაბულები №1, №5 და №6. წიგნში: ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. თბ., 2003 (იქვე მეუღლის შესახებ).
4. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი), (იქვე მეუღლის შესახებ)..
5. მ.ჯანაშვილი. მასალები საქართველოს ისტორიისათვის. ბატონიშვილ დავითისა და სხვ. თბ., 1905, გვ.10 (იქვე მეუღლის შესახებ).
6. Дворянские роды Российской империи.т.III. И.Бичикашвили, Ю.Чиковани, С.Думин. М., 1996, стр.66,68 (იქვე მეუღლის შესახებ).
7. M.Brosset. Addition, t. IX, p.635-636 (იქვე მეუღლის შესახებ).
8. С.Тoumanoff. (1976), p.153 (იქვე მეუღლის შესახებ).

18/10. ზაალის ასული N. მხეიძე

= N. რაჭის ერისთავი.

ლიტერატურა:

1. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (იქვე მეუღლის შესახებ), (ხელნაწერი).

26/20. ხოსია ბერის ძე მხეიძე (ო 1786-1810)

წყაროები:

1. სცია, ფონდი 1450, დავთ. 14, საქმე №1581 - შეწირულობის წიგნი (1810 წ.), (ხელნაწერი).
2. სცია, ფონდი 1450, დავთ. 14, საქმე №2251 - შეწირულობის წიგნი (1800 წ.), (ხელნაწერი).
3. სცია, ფონდი 1450, დავთ. 14, საქმე №3224 - შეწირულობის წიგნი (1798 წ.), (ხელნაწერი).

ლიტერატურა:

1. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).
2. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

27/20. ვახუშტი ბერის ძე მხეიძე (ი 1798-1817)

წყაროები:

1. მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის, საბ. №75.
2. სცია, ფონდი 1450, დავთ. 14, საქმე №2251 - შეწირულობის წიგნი (1810 წ.), (ხელნაწერი).
3. სცია, ფონდი 1450, დავთ. 14, საქმე №3224 - შეწირულობის წიგნი (1798 წ.), (ხელნაწერი).

ლიტერატურა:

1. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის., ტ.I. დას. ნაშრ. გვ.24.
2. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).
3. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

28/20. გიორგი ბერის ძე მხეიძე (ი 1798-1802)

წყაროები:

1. სცია, ფონდი 1450, დავთ. 14, საქმე №3224 - შეწირულობის წიგნი (1798 წ.), (ხელნაწერი).
2. სცია, ფონდი 1450, დავთ. 14, საქმე №5538 - წყალობის წიგნი (1799 წ.), (ხელნაწერი).

ლიტერატურა:

1. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).
2. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

29/20. ნიკოლოზ ბერის ძე მხეიძე (ი 1798)

წყაროები:

1. სცია, ფონდი 1450, დავთ. 14, საქმე №3224 - შეწირულობის წიგნი (1798 წ.), (ხელნაწერი).
2. სცია, ფონდი 1450, დავთ. 14, საქმე №5538 - წყალობის წიგნი (1799 წ.), (ხელნაწერი).

ლიტერატურა:

1. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).

2. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

23/15. გირან გიორგის ძე მხეიძე (ო 1786-1837)

წყაროები:

1. სცია, ფონდი 1448, საქმე №7173 - შეწირულობის წიგნი (1815 წ.), (ხელნაწერი).
2. სცია, ფონდი 1448, საქმე №7349 - ნასყიდობის წიგნი (1815 წ.), (ხელნაწერი).
3. სცია, ფონდი 1450, საქმე №1191 - მოროგების წიგნი (1802 წ.), (ხელნაწერი).
4. სცია, ფონდი 1450, საქმე №8064 - ნასყიდობის წიგნი (1837 წ.), (ხელნაწერი).
5. სცია, ფონდი 1451, დავთარი 16, საქმე №239 - ნასყიდობის წიგნი (1803 წ.), (ხელნაწერი).
6. სცია, ფონდი 1451, დავთარი 16, საქმე №242 - ნასყიდობის წიგნი (1802 წ.), (ხელნაწერი).

ლიტერატურა:

1. ს.კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ.II. თბ., 1921, გვ.138,178.
2. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის., ტ.I. დას. ნაშრ. გვ.24.
3. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).
4. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

24/15. ბერი გიორგის ძე მხეიძე (ო 1786-1803)

წყაროები:

1. სცია, ფონდი 1450, საქმე №1191 - მოროგების წიგნი (1802 წ.), (ხელნაწერი).
2. სცია, ფონდი 1451, დავთარი 16, საქმე №239 - ნასყიდობის წიგნი (1803 წ.), (ხელნაწერი).
3. სცია, ფონდი 1451, დავთარი 16, საქმე №242 - ნასყიდობის წიგნი (1802 წ.), (ხელნაწერი).

ლიტერატურა:

1. ს.კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ.II. თბ., 1921, გვ.138,178.
2. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის., ტ.I. დას. ნაშრ. გვ.24.
3. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).
4. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

21/15. ზაალ გიორგის ძე მხეიძე (ო 1786-1805)

წყაროები:

1. სცია, ფონდი 1450, საქმე №1191 - მოროგების წიგნი (1802 წ.), (ხელნაწერი).
2. სცია, ფონდი 1451, დავთარი 16, საქმე №239 - ნასყიდობის წიგნი (1803 წ.), (ხელნაწერი).
3. სცია, ფონდი 1451, დავთარი 16, საქმე №242 - ნასყიდობის წიგნი (1802 წ.), (ხელნაწერი).

4. სცია, ფონდი 1451, დავთარი 16, საქმე №255 - შეწირულობის წიგნი (1805 წ.), (ხელნაწერი).

ლიტერატურა:

1. ს.კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ.II. თბ., 1921, გვ.138,178.
2. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის., ტ.I. დას. ნაშრ. გვ.24.
3. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).
4. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

22/15. ბჟჟან გიორგის ძე მხეიძე (ო 1803-1815)

წყაროები:

1. სცია, ფონდი 1448, საქმე №7349 - ნასყიდობის წიგნი (1815 წ.), (ხელნაწერი).
2. სცია, ფონდი 1451, დავთარი 16, საქმე №239 - ნასყიდობის წიგნი (1803 წ.), (ხელნაწერი).
3. სცია, ფონდი 1451, დავთარი 16, საქმე №255 - შეწირულობის წიგნი (1805 წ.), (ხელნაწერი).

ლიტერატურა:

1. ს.კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ.II. თბ., 1921, გვ.138,178.
2. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის., ტ.I. დას. ნაშრ. გვ.24.
3. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).
4. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

32/26. ვახტანგ ვახუშტის ძე მხეიძე (ო 1810)

ლიტერატურა:

1. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის., ტ.I. დას. ნაშრ. გვ.24.
2. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).
3. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

33/26. ნიკოლოზ ვახუშტის ძე მხეიძე (ო 1810)

ლიტერატურა:

1. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის., ტ.I. დას. ნაშრ. გვ.24.
2. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).
3. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

34/26. გიორგი ვახუშტის ძე მხეიძე (?-1834)

ლიტერატურა:

1. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის., ტ.I. დას. ნაშრ. გვ.24.
2. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი).

3. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

35/26. ვახუშტის ასული N. მხეიძე = N. მიქელაძე

ლიტერატურა:

1. ი.ჩიქოვანი. ჩხეიძეების გენეალოგია (იქვე მეუღლის შესახებ), (ხელნაწერი).

36/26. ვახუშტის ასული N. მხეიძე = ბეჟან ლორთქიფანიძე

ლიტერატურა:

1. ი.ჩიქოვანი. ჩხეიძეების გენეალოგია (იქვე მეუღლის შესახებ), (ხელნაწერი).

30/23. გიორგი ფირანის ძე მხეიძე (1795-?)

= მაია (მარიამი), იმერეთის ბატონიშვილის მამუკას ასული

წყაროები:

1. სცია, ფონდი 1448, საქმე №7173 - ნასყიდობის წიგნი (1815 წ.), (ხელნაწერი).
2. სცია, ფონდი 1448, საქმე №7349 - ნასყიდობის წიგნი (1815 წ.), (ხელნაწერი).
3. სცია, ფონდი 1450, წიგნი 54, საქმე №152 - ნასყიდობის წიგნი (1812 წ.), (ხელნაწერი).
4. სცია, ფონდი 1450, წიგნი 54, საქმე №8064 - ნასყიდობის წიგნი (1837 წ.), (ხელნაწერი).
5. სცია, ფონდი 1451, დავთარი 16, საქმე №232 - ნასყიდობის წიგნი (1815 წ.), (ხელნაწერი).

ლიტერატურა:

1. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის.., ტ.I. დას. ნაშრ. გვ.25.
2. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია (ხელნაწერი), (იქვე მეუღლის შესახებ).
3. Дворянские роды Российской империи.т.III. И.Бичикашвили, Ю.Чиковани, С.Думин. М., 1996, стр.66,68 (იქვე მეუღლის შესახებ).
4. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180 (იქვე მეუღლის შესახებ).
5. Н.Б.Махарадзе. Восстание в Имерети 1819-1920 гг. “Материалы по истории Грузии и Кавказа”, вып. III. Тб., 1942, стр.141,156.

31/23. ბეჟან ფირანის ძე მხეიძე (ი1820)

= რუსუდანი, თავად გრიგოლ ასათიანის ასული (1811-?).

ლიტერატურა:

1. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის.., ტ.I. დას. ნაშრ. გვ.24.
2. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია, (იქვე მეუღლის შესახებ), (ხელნაწერი).
3. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.
4. Н.Б.Махарадзе. Восстание в Имерети 1819-1920 гг. укр.соч. стр.141,156.

25/19. მარიამ ნიკოლოზის ასული (?-1813) = ალექსანდრე ჟორდანი.

ლიტერატურა:

1. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია, (იქვე მეუღლის შესახებ), (ხელნაწერი).
2. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

**37/30. მართა გიორგის ასული (1819-1856)
= აზნაური ბიჭია ივანეს ძე აბაშიძე (1815-?).**

ლიტერატურა:

1. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია, (იქვე მეუღლის შესახებ), (ხელნაწერი).
2. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

38/30. N. გიორგის ასული = N. პავლენკო.

ლიტერატურა:

1. ი.ჩიქოვანი. მხეიძეების გენეალოგია, (იქვე მეუღლის შესახებ), (ხელნაწერი).
2. Дворянские роды Российской империи.т.IV. Ю.Чиковани, С.Думин. М., 1998, стр.180.

ნუსხა 2
სამეგრელო

თავადი ფირან ზოსიას ძე მხეიძე⁶⁻¹

III თაობა ფირანისგან

დავით² პაატა³

ბეჟან⁴

პეტრე⁶

დავით⁵

ზაალ⁷

ბეჟან⁹

გიორგი¹¹

დავით¹²

ქაიხოსრო¹³

ბეჟან¹⁵

ნიკოლოზ¹⁸

სალომე²⁰

ნინო²²

პეტრე¹⁴

პაპა¹⁶

პეტრე¹⁷

სალომე¹⁹

მარტა²³

1799-1859

1817-?

1819-1867

1835-?

?-1890

ნუსხა 3,4,5

ნუსხა 6

ნუსხა 9

ნუსხა 10

ნუსხა 11,12

IX

ნინო²⁴ კონსტანტინე²⁵ მარიამ²⁶
(პუპი) 1842-1877 (მეფობა)

4/3. ბეჟან პაატას ძე, თავი გამოიჩინა, როდესაც თურქებმა ალყა შემოარტყეს ჟინოთის ციხეს, ასევე გაამაგრა თამაკონის ციხე, იძულებული გახდა თურქები დაეხიათ უკან. ამ გამარჯვებისთვის სამეგრელოს მთავარმა ოტია დადიანმა (1728-1757) უბოძა მას სოფელი ყულის-კარი გლეხებითა და აზნაურებით.

5/4. დავით ბეჟანის ძე ~ მარიამ, თავად N. აბაშიძის ასული.

6/4. პეტრე ბეჟანის ძე (ი1803-1806), ჭაქვინჯის მოურავი. სამეგრელოს მთავართან გრიგოლ დადიანთან (1788-1804) ერთად 1803 წ. ფიცი დასდო რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ~ მარიკა, თავად N. ჩიჩუას ასული (სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის აღმზრდელის ბიძაშვილი).

8/5. ბეჟან დავითის ძე, 1803 წ. ფიცი დასდო რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. 1814 წ. მთავრისა ნინო გიორგის ასული ჩიოდა კავკასიის მეფის ნაცვლის წინაშე: “სამეგრელოს თავადნი გიორგი და ბეჟან მხეიძეები ყიდიან გლეხებს თურქებზე, მოკლეს ღვიძლი ძმა (ზაალი?). თავისი ქმედებისათვის ბეჟანი იმსახურებს სიკვდილით დასჯას”.

12/6. დავით პეტრეს ძე, დაიღუპა აფხაზეთში ~ თავად N. ჩიქოვანის ასული.

13/7. ქაიხოსრო ზაალის ძე (?-1853 მდე) ~ ელისაბედი, თავად N. ემუხვარის ასული (ი1845).

15/9. ბეჟან გიორგის ძე ~ გულქან N. (1812-?).

16/10. პაპა (პაპინა) ბეჟანის ასული ~ I. (10.07.1819) თავადი შაქარ ვახტანგის ძე მიქელაძე (1810-1852), (ს.კულაში). ეს ქორწინება შაქარის მცირეწლოვანების გამო იყო გაუქმებული; ~ II.(1832) თავადი მანუჩარ ლევანის ძე შერვაშიძე (1808-1863), (ს. ბედია).

17/11. პეტრე გიორგის ძე (2.12.1817-1892 წ.შ.), პოლკოვნიკი, ყირიმის ომის გმირი ~ სინდუხტი (სიდუ), თავად ალექსი დადიანის ასული (1822-1902), (ს.ბეთლემი).

18/11. ნიკოლოზ (ნიკო) გიორგის ძე (1819-28.03.1867), პორუჩიკი ~ 15.09.1840 მარიამი (მაია), თავად მათე ფალავას ასული (1825-?), (ს.ბანძა).

19/11. მარიამ (მარიკა) გიორგის ასული ~ თავადი მანუჩარ თემურყვას ძე ანჩაბაძე (1826-1884), (ს.თაგილონი).

20/11. სალომე გიორგის ასული (1835-?) ~ თავადი ოტია ანტონის ძე ახვლედიანი (1828-1899).

21/12. ბეჟან დავითის ძე (1824-7.07.1900) ~ სოფიო, თავად ვახტანგ (ვატა) ფალავას ასული (1825-1895), (ს.ბანძა).

22/12. ნინო დავითის ასული (?-1890) ~ თავადი ლევან ბეჟანის ძე შერვაშიძე (1818-1866).

23/12. მართა დავითის ასული ~ 9.11.1847 თავადი ზურაბ მანუჩარის ძე ჩქოტუა (1820-1892).

24/15. ნინო (პუპი) ბეჟანის ასული (1840-1914) ~ I. თავადი თეიმურაზ ნიკოლოზის ძე ფალავა (1826-?), (ს.ბანძა); ~ II. 16.02.1861 თავადი ბიქტორ კონსტანტინეს ძე მიქელაძე (1835-1862).


25/15. კონსტანტინე ბეჟანის ძე (1841-12.07.1877) ~ I. 4.05.1854 ემილიანა (ფეფიკი), თავად გიორგი გურიელის ასული (1838-?); ~ II. მართა, თავად N. შერვაშიძის ასული (1842-1868).

26/15. მარიამ (მელიქი) ბეჟანის ასული (1845-?) ~ თავადი მიხეილ (ჭიღვა) კაციას ძე ანჩაბაძე (1838-?).


VII თაობა
ფირანისგან

თავადი ქაიხოსრო ზაალის ძე მხეიძე¹³⁻¹

ნუსხა 3
სოფ. სენაკი,
სოფ. სორტა



- 2/1. ბესარიონ ქაიხოსროს ძე ~ ეკატერინე კონსტანტინეს ასული N.
- 3/1. ბეჟან ქაიხოსროს ძე (1818-20.11.1882) ~ I. სალომე (ესმა) სიმონის ასული N. (1823-?); ~ II. ევდუკია (მარიამი), თავად კონსტანტინე (კობტა) მიქელაძის ასული (1831-1882), სოფ. კულაში.
- 4/1. დუტუ ქაიხოსროს ძე (1821-7.12.1885) ~ I. ევდუკია N. (1827-?); ~ II. ესმა, თავად ბაკი ჩიქოვანის ასული (1837-?), სოფ. ნაგურუ.
- 5/1. გიორგი ქაიხოსროს ძე (1828-2.03.1900) ~ I. (10.06.1856) ანასტასია (ბუტია), აზნაურ აღმასხან ელიავას ასული (1840-1867); ~ II. (30.08.1870) ელისაბედი, აზნაურ ზურაბ ჯაიანის ასული (1840-2.12.1888).
- 6/1. ალექსი (ალექსანდრე) ქაიხოსროს ძე (1837-?) ~ I. ელისაბედი (ჯარამხანი) ფარნაოზის (მათეს) ასული N. (1845-?); ~ II. ივლიტა, თავად გრიგოლ ჩიჩუას ასული (1857-?), სოფ. ხორში.
- 10/3. დავით (დათა) ბეჟანის ძე (1854-26.04.1909) ~ I. მენიკი (მარიამი), თავად ივანე ჩიჩუას ასული (1863-1882), სოფ. ქვალონი; ~ II. (5.02.1884) პელაგია, თავად ბესარიონ დადიანის ასული (1862-?), ს. ბეთლემი.
- 13/3. აზინორა (ციბალა) ბეჟანის ასული (1867-2.03.1899) ~ (13.11.1888) თავადი გიორგი დარისპანის ძე აფაქიძე (1865-1906), სოფ. ზანა.
- 18/4. ვლადიმერ (ლადი) დუტუს ძე (26.02.1871-?) ~ ალათი, გაბრიელის (გაბროს) ასული N.
- 19/4. პლატონ (პილა) დუტუს ძე (23.02.1873-25.07.1944) ~ (29.04.1907) თამარი, თავად ბახვა (გიორგი) ჩიქოვანის ასული (1885-?), სოფ. ნაგურუ.
- 21/10. ნიკოლოზ (ნიკა) დავითის ძე (2.01.1882-1924) ~ ვარდიკო (საშა) მაშინაია (1906-1976).
- 22/10. ნინო დავითის ასული (15.07.1887-?) ~ N. გოგინავა.
- 23/10. ანასტასია დავითის ასული (14.06.1890-?) ~ (29.01.1909) თავადი დავით თეიმურაზის ძე ჯაიანი (1863-?), სოფ. ახუთი.
- 31/19. ვენერა პლატონის ასული (30.06.1910-1978) ~ მაკარ ალექსანდრეს ძე შალამბერიძე (1908-1993).
- 33/19. ჟოზეფინა (ჟოზია) პლატონის ასული ~ დიანოზ ჭითანავა.
- 34/19. ივანე (კუკური) პლატონის ძე (დ.1920) ~ ნადეჟდა (ნაზია) ბართლომეს ასული N. (დ. 1928).
- 35/19. შოთა პლატონის ძე (?-1998) ~ მარგო ჭრელაშვილი.
- 36/19. ლაშა პლატონის ძე (1926-1989) ~ 1963 ნათელა პლატონის ასული შარტავა (დ.1927).
- 37/21. დავით ნიკოლოზის ძე (1923-1988) ~ თალიკო არტემის ასული ჭანტურია (დ.1928).
- 38/21. ნორა ნიკოლოზის ასული (დ.1925) ~ ივანე ჭკადუა.
- 44/37. ალექსანდრე (ალეკო) დავითის ძე (25.05.1950-31.07.1970) ~ ლუარა ცეკვავა (დ. 1952).
- 45/37. ქეთევან (რუსუდან) დავითის ასული (15.03.1952-1996) ~ ალეკო ალექსანდრეს ძე კუჭავა (დ.1950).
- 46/37. დარეჯან (მედიკო) დავითის ასული (25.07.1955-1994) ~ შალვა არტემის ძე დავითაია (დ.1945).
- 47/37. ვალიკო (რაჟიკო) დავითის ძე (დ.2.10.1960) ~ მაგული ნიკოლოზის ასული ლაბარტყავა (დ.1960).



2/1. დავით (დათა) გიორგის ძე (2.01.1864-1959) ~ ნინო გრიგოლის ასული იაგორაშვილი (1890-1965).

5/2. მიხეილ დავითის ძე (1910-1995) ~ ნადეჟდა (ნადია) ზაქარიას ასული ქემაშვილი (1914-1974).

6/2. რევაზ (არჩილ) დავითის ძე (1912-1942) ~ ქეთევანი, აზნაურ სიმონ ნატროშვილის ასული (1917-1981).

7/2. ქეთევან დავითის ასული (1917-2001) ~ კიაზო მიხეილის ძე გერგაული (1915-1949).

8/2. კარლო დავითის ძე (1921-1983) ~ თამარ სოლომონის ასული პოპიაშვილი (დ.1923).

9/5. დავით მიხეილის ძე (დ.1937) ~ მერი ალექსანდრეს ასული ოზგაიძე (დ.1936).

10/5. თინა მიხეილის ასული (დ.1943) ~ გურამ დიმიტრის ძე ფიცხელაური (დ.1935).

11/5. ცისანა მიხეილის ასული (დ.1946) ~ ნოდარ გიორგის ძე ჯანიაშვილი (დ.1946).

12/6. ვაჟა რევაზის ძე (1938-1992), აგრონომი ~ I. დალი გიორგის ასული ბიკაშვილი (დ.1938); ~ II. მზია პლატონის ასული ოშხერელი.

13/6. ომარ რევაზის ძე (დ.1942), ინჟინერ-მშენებელი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ადენის (იემენის) უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი ~ ნანა ვლადიმერის ასული ხელაშვილი (დ.1949).


16/9. ქეთევან დავითის ასული (დ.1964) ~ მამუკა გურამის ძე მეყანწიშვილი (დ.1965).

17/9. ნონა დავითის ასული (დ.1965) ~ კობა გიორგის ძე ჯოხაძე (დ.1956).

18/9. ნადეჟდა (ნადია) დავითის ასული (დ.1971) ~ კონსტანტინე ნოდარის ძე ბათლიძე (დ.1970).

20/12. მაია ვაჟას ასული (დ.1968) ~ გიორგი გურამის ძე კოპალეიშვილი (დ.1962).

- 21/12. ქეთევან ვაჟას ასული (დ.1968) ~ სოსო ივანეს ძე ურჯუმელაშვილი (დ.1958).
 22/12. ნინო ვაჟას ასული (დ.1969) ~ ილია ნიკოლოზის ძე სუბიაშვილი (დ.1966).
 23/12. ნანა ვაჟას ასული (დ.1978) ~ ეკარტ ნალბახ (დ.1969), გერმანელი.
 24/13. რევაზ ომარის ძე (დ.1970) ~ მაია წარიმანის ასული ყოჩიაშვილი (დ.1970).
 25/13. ვლადიმერ (ლადო) ომარის ძე (დ.1974) ~ ნათია თემურის ასული ბეთლემიძე (დ.1975).



- 2/1. ივლიტა ალექსის ასული (1858-1932) ~ აზნაური N. გუგუშვილი.
 6/1. მარიამ (დეუ) ალექსის ასული (9.11.1876-?) ~ აზნაური N. კემულარია.
 7/1. ალათი (ალაპია) ალექსის ასული (2.05.1879-?) ~ 14.02.1901 თავადი მალაქია მიხეილის ძე დადიანი (1861-?).
 8/1. მიხეილ ალექსის ძე (2.03.1881-21.09.1911) ~ 6.07.1899 მატრონა (ნატა), აზნაურ ვახტანგ გუნიას ასული (1882-1965).
 11/8. მარიამ (მანია) მიხეილის ასული (1904-?) ~ N. დოჩია.
 12/8. სიმონ მიხეილის ძე (15.11.1906-1976) ~ I. ელენე მაქსიმეს ასული რთველაძე; ~ II. ქეთევან იაგორის ასული გველესიანი (1910-1995).



სიმონ მიხეილის ძე მხეიძე (ნუს.5; №12)

13/8. მატრონა (შურა) მიხეილის ასული (1908-?) ~ N. მიქაძე.

14/8. კონსტანტინე მიხეილის ძე (10.12.1909-1960) ~ ზოია ქუჩულორია.

16/12. მედეა სიმონის ასული (დ.1930) ~ ივანე (ბიჭიკო) სიმონის ძე ნაცვლიშვილი (1927-2001).



I რიგში: მარცხნიდან 1 – ბადრი სიმონის ძე მხეიძე(ნუს.5; №17), 2 – სლავა მეტრეველი, 3 – შოთა იამანიძე; II რიგში: ცენტრში ბორის პაიჭაძე, ხელ–მარჯვნივ 1 სიმონ მხეიძე

17/12. ბადრი სიმონის ძე (დ.1934), ჰიდრო გეოლოგი, მეცნიერებათა კანდიდატი, მუშაობს მეცნიერებათა აკადემიაში, ეწევა მთარგმნელობით მუშაობას გერმანულ ენისა და ლიტერატურაში ~ ციცილია კაპიტონის ასული პაიჭაძე (დ.1939).

18/12. ნანა სიმონის ასული (დ.1938) ~ რამაზ ბორისის ძე პაიჭაძე (დ.1938).

22/14. თინათინ კონსტანტინეს ასული (დ.1952) ~ ჯემალ გელაშვილი.

23/17. ქეთევან (ქეთი) ბადრის ასული (დ.1967), მხატვარი, ხატმწერი. ასწავლის დემირელის სახელობის კოლეჯში ~ ბესიკ ნუგზარის ძე ნიკოლაიშვილი (დ.1969).




ზადრი სიმონის ძე მხეიძე მეუღლესთან ციცილიასთან და შვილებთან ქეთევანთან და ზვიდთან ერთად (ნუს.5; №17,23,24)



1999 წლიდან საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი ქეთევან (ქეთი) ზადრის ასული მხეიძე შვილთან ერთად (ნუს.5; №23)

ნუსხა 6
სენაკი

VII თაობა ფირანისგან
თავადი პეტრე ზაალის ძე მზეიძე¹⁴⁻¹



2/1. ეფემია პეტრეს ასული (1828-11.11.1887) ~ თავადი ივანე გიორგის ძე ჩიქოვანი (სოფ. ნაგურუ).

6/1. ფარნაოზ (ფარნა) პეტრეს ძე (1839-?) ~ I. სალომე, თავად სიკო ჩიქოვანის ასული (1844-1872), სოფ. უცხერი; ~ II. მაია, თავად კონსტანტინე დადიანის ასული (1853-1914), სოფ. მოიდანახე.

7/1. ქეთევან პეტრეს ასული (1843-?) ~ (20.07.1864) თავადი ლევან ხახუს ძე ჩიჩუა (1839-?), სოფ. ხორში.

8/1. ანასტასია (ტასია) პეტრეს ასული (1845-?) ~ აზნაური N. ჯოლია.

9/6. აკაკი ფარნაოზის ძე (7.11.1865-1949) ~ (19.07.1901) მარიამი (პაშა), თავად სამსონ ჩიქოვანის ასული (1882-1970), სოფ. ინჩხური.

10/6. დავით (ფაკი) ფარნაოზის ძე (19.06.1867-1904) მოკლულია ავზაკების მიერ.

11/6. ნიკოლოზ ფარნაოზის ძე (9.03.1874-1929) ~ (12.01.1906) მარიამ გიორგის ასული ყურაშვილი (1873-1949).

12/6. ამბროსი (ზაძუ) ფარნაოზის ძე (5.03.1875-1948) ~ (3.09.1906) ევდოკია (ლენა), თავად ქაიხოსრო აბაშიძის ასული (1869-1922). ს.საქარა

14/6. კონდრატე (კონსტანტინე) ფარნაოზის ძე (2.01.1879-?) ~ (10.01.1900) ელისაბედი, აზნაურ ლუკა ჯინორიძის ასული (1874-?).

15/9. თამარ აკაკის ასული (1903-1978) ~ აზნაური ვლადიმერ ნაჭყებია.

20/9. ფარნაოზ (ჯონდო) აკაკის ძე (4.06.1909-1999), საქართველოს დამსახურებული ექიმი. თორაკალური ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ფტიზოქირურგიის პატრიარქი. ღირსებისა და ორგზის წითელი დროშის ორდენოსანი. აკადემიკოს მუხაყის სახელობის მედიის კავალერი. კურორტ აბასთუმანის საპატიო მოქალაქე. ცნობილი ექიმი-ფტიზიატრი ~ ანგელინა, აზნაურ არსენ მიქაბერიძის ასული (1925-1998).



ფარნაოზ (ჯონდო) აკაკის ძე მხეიძე, დედასთან მარიამ ჩიქოვანთან და დასთან თამართან ერთად (ნუს.6; №15,20)

21/11. ვლადიმერ (კიკი) ნიკოლოზის ძე (1.01.1906-31.01.1954) ~ ალუსტინა მელიტონის ასული ლეთოდანი (1909-1993).

24/11. მავრა ნიკოლოზის ასული (11.05.1913-?) ~ აზნაური გური ნაჭყებია.

26/14. ოლღა კონდრატის ასული (1901-1983) ~ ვასო დამბაშიძე.

27/20. აკაკი (ზაზა) ფარნაოზის ძე (დ.1962) ~ I. მაია იოსების ასული გრიგოლია (დ.1962); ~ II. ანა ივანეს ასული ფეიქრიშვილი (დ.1967).



ფარნაოზ (ჯონდო) აკაკის ძე მხეიძე, მეუღლესთან ანგელინა მიქაბერიძესთან და შვილთან აკაკისტა (ზაზასთან) ერთად (ნუს.6: №20,27)

28/21. უმიანა ვლადიმერის ასული (დ.1932) ~ რევაზ ქირია (დ.1932).

29/21. ბორის ვლადიმერის ძე (დ.1934) ~ დალი ნიკოლოზის ასული კობახიძე (დ.1936).

34/29. რევაზ (მამუკა) ბორისის ძე (დ.1962) ~ ანჟელა რევაზის ასული ლაკერბაია (დ.1967).



თამარ აკაკის (ზაზას) ასული მხეიძე შვილთან, ქეთევან კანკიასთან ერთად (ნუს.6; № 30)



ძმები რევაზ (მამუკა) და კობა ზორისის ძე
მხეიძეები (ნუს.6; №33,34)



აკაკი (ზაზა) ფარნაოზის (ჯონდოს) ძე მხეიძე, მეუღლესთან ანა ფეიქრიშვილთან და
შვილებთან ფარნაოზთან და მარიამთან ერთად (ნუს.6; №27,31,32)



და-ძმა ანა რევაზის ასული და ლევან რევაზის ძე
მხეიძეები (ნუს.6; №35,36)


VII თაობა ფირანისგან

თავადი ბეჟან დავითის ძე მხეიძე⁵⁻¹


ნუსხა 7

სოფ. თეკლათი


VIII




IX




X




XI




XII



XIII



XIV



2/1. დავით ბეჟანის ძე (?-1841), დაილუპა გურიის აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში ~ ეკატერინე N. (1808-?).



ნიკოლოზ პეტრეს ძე (ნუს. 7; №12)

3/1. ივანე (კინტირია) ბეჟანის ძე (1818-9.03.1878) ~ I. (6.05.1834) მართა, თავად დავით მაჭუტაძის ასული (1822-1.08.1860), სოფ. ნიგოთი; ~ II. ეფროსინე, თავად გიორგი მიქელაძის ასული (1839-?), სოფ. კულაში.

4/1. გრიგოლ ბეჟანის ძე (1820-?), მრეწველი. დააფინანსა სენაკი-ფოთის რკინიგზის მშენებლობა ~ (14.11.1841) მარიამი (მაკა), თავად კაცია დადიანის ასული (1826-13.02.1896), ს.ჯვარი.



სოლომონ (ბაბუ) ალექსის ძე მხეიძე (ნუს.7; № 15)

5/1. ლევან ბეჟანის ძე (1823-?) ~ (10.10.1848) ფოტინე (ბუთია), თავად კონსტანტინე (კობტა) მიქელაძის ასული (1832-?), ს.კულაში.

6/2. ეკატერინე დავითის ასული (1832-27.11.1911) ~ I. აზნაური ნიკოლოზ იმხნელი; ~ II. (1855) თავადი იოსებ ნიკოლოზის ძე იაშვილი (1817-?), სოფ. სიქთარვა.

7/2. პეტრე დავითის ძე (1834-15.10.1878) პრაპორშჩიკი ~ (16.01.1854) ეკატერინე (პუპი), თავად ბეჟან დგებუაძის ასული (1838-4.01.1883), სოფ. ჟინოთი.



პეტრე ნიკოლოზის ძე მხეიძე (ნუს.7; 27)

8/2. ალექსი (ალექსანდრე) დავითის ძე (1837-3.01.1884) ~ I. სელიხანი (ჩიჩი, ეკატერინე), თავად საათბუე შერვაშიძის ასული (1840-?), სოფ. საბერიო; ~ II. ანა (უსტახანი), თავად სისონა (სისო) აფაქიძის ასული (1844-1928), სოფ. ეწერი.

9/2. ფარნაოზ დავითის ძე (17.08.1839-25.01.1903) პოლკოვნიკი, სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ~ (30.06.1893) სოფიო, თავად ერასტი ჩოლოყაშვილის ასული (1858-?), სოფ. მატანი.



ეკატერინე ნიკოლოზის ასული მხეიძე
(ნუს.7; № 28)

10/7. ანასტასია (ტასია) პეტრეს ასული (6.05.1861-1931) ~ 10.09.1878 თავადი ალექსანდრე გიორგის ძე მაჭუტაძე (1858-1903-მდე), სოფ. ნიგოთი.

14/7. ტერეზია პეტრეს ასული (1869-8.07.1917) ~ (3.11.1885) თავადი სიმონ (ჯაბა) სიმონის ძე ერისთავი (1861-?), სოფ. ერკეთი.

15/7. ნიკოლოზ პეტრეს ძე (20.07.1870-1928) ~ ფრანგი მარია პავლეს ასული ადანი (1870-1943). მარიას პირველი მეუღლე იყო ბარონი მიხეილ ვრანგელი.

16/7. თეოდოსია პეტრეს ასული (?-1956) ~ აზნაური ლევან ტიმიტეს ძე ჯაყელი.

18/8. სოლომონ (ბაძუ) ალექსის ძე (15.06.1871-1914) ~ ბარბარე (ბაბო, ბაბილინა), აზნაურ ლუკა გრიგოლიას ასული (1877-1960).



ნინო ნიკოლოზის ასული მხეიძე (ნუს.7; № 28)

20/8. ეფროსინე ალექსის ასული (6.06.1873-10.09.1948) ~ (12.02.1889) თავადი ბესარიონ ივანეს ძე ჩიჩუა (1870-1941), სოფ. ქვალონი.

22/8. პელაგია (ცუცაკია) ალექსის ასული (15.05.1876-1947) ~ (5.06.1897) თავადი დავით ოტიას ძე დადიანი (1869-?), სოფ. შხეფი.



მარინე პავლეს ასული მხეიძე (ნუს. 7; № 40)

26/8. ალათი ალექსის ასული (7.05.1885-?) ~ (14.02.1901) თავადი მალაქია (გუჯუ) მიხეილის ძე დადიანი (1860-?), სოფ. ნოქალაქევი.

29/9. ერასტი (ერიკ) ფარნაოზის ძე (30.11.1896-1942) შტაბს-როტმისტრი ~ I. 23.11.1919 ნინო კონსტანტინეს ასული იმნაძე (1899-?); ~ II. მარიამი, აზნაურ ლევან გომელაურის ასული (1898-1962).

30/15. პეტრე ნიკოლოზის ძე (21.12.1898-1972) ~ I. ნინო, ბატონიშვილ მიხეილ გრუზინსკის (ბაგრატიონის) ასული (1900-16.06.1974); ~ II. თამარ ირაკლის ასული ღლონტი (?-1984).



მარინე მხეიძის და ჭაბუა ამირეჯიბის შვილი ირაკლი
(1963–19992), დაიღუპა აფხაზეთში

31/15. ეკატერინე ნიკოლოზის ასული (1900-1969) ~ მანლიო პარდი (იტალიელი)
(1890-?).

32/15. ნინო ნიკოლოზის ასული (9.01.1903-1974) ~ აზნაური აპოლონ ცისკარიშვილი
(?-1937).



33/15. პავლე ნიკოლოზის ძე (29.12.1904-1969) ~ ვერა, აზნაურ თევდორე (მეთოდე)
ბაქრაძის ასული (1908-1981).

34/15. რიმა ნიკოლოზის ასული (1910-1987) ~ ალექსანდრე გველესიანი (1900-?).

37/18. ვლადიმერ სოლომონის ძე (23.08.1899-1937) ~ ალექსანდრა, აზნაურ ბეჟან
ნადარეიშვილის ასული (1903-1969).

38/18. ანდრო სოლომონის ძე (6.01.1902-1943) ~ ოლღა დიტოს ასული დარასელია
(1901-1972).



ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე მხეიძე (ნუს. 7; №46)

40/30. კონსტანტინე პეტრეს ძე (25.01.1925-1999) ~ ლილი გიორგის ასული ჩებანენკო (დ.1933).

42/33. გურამ პავლეს ძე (დ.1931) ~ I. იულია სერგეის ასული კოსტიუკოვა (1936-2000); ~ II. სვეტლანა იაკობის ასული ბახმეტევა (დ.1931); ~ III. ლუდმილა პეტრეს ასული იზერგინა (დ.1944).



რევაზ ვლადიმერის ძე მხეიძე მეუღლესთან და შვილებთან ერეკლესთან და ელიზბართან ერთდ (ნუს. 7; № 41,53,54)

43/33. მარინა პავლეს ასული (დ.1938) ~ I. ჭაბუა ირაკლის ძე ამირეჯიბი (დ.1921); ~ II. ოთარ აპოლონის ძე გვენეტაძე (დ.1938); ~ III. იური ვალენტინის ძე მღებრიშვილი (დ.1944).



ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე მხეიძის პირადი გერბი

44/37. რევაზ ვლადიმერის ძე (დ.1924) ~ I. ნელი, აზნაურ აპოლონ ჭიჭინაძის ასული (1927-1988); ~ II. გულიჯანი, აზნაურ ალექსანდრე ჯაყელის ასული (1926-1989).

45/37. ლიანა (გუგული) ვლადიმერის ასული (დ.1927) ~ ნოდარ კოპალეიშვილი (1926-1976).

46/38. ალექსანდრე (კუკური) ანდროს ძე (დ.1932) ~ ნაზია გიორგის ასული ჯაბუა (დ.1951).

48/38. სოლომონ ანდროს ძე (დ.1943) ~ ნელი ბოჩიას ასული წულაია (დ.1956).

49/40. ნიკოლოზ (ნიკა) კონსტანტინეს ძე (დ.15.09.1958) ~ I. ირინე ვლადიმერის ასული როინიშვილი (დ.1961); ~ II. (1998) მიშელ ვან ლეუ (დ.1958), (ბელგიელი).

50/40. გიორგი კონსტანტინეს ძე (დ.23.07.1962) ~ I. მაია ოყროშიძე (დ.1961); ~ II. ნატალია ვიახირევა (დ.1958); ~ III. (1992) ჟოელ ტიმერმანსი (დ.1959), (ბელგიელი).

52/42. ალა გურამის ასული კოსტიუკოვა (დ.1960) ~ გიორგი მიხეილის ძე ღონღაძე (დ.1956).

53/42. ქეთევან გურამის ასული (დ.1966) ~ ამინულა გულამ მოჰამადი (დ.1966).


56/44. ერეკლე რევაზის ძე (დ.1956) ~ ნინო ალექსანდრეს ასული ნინუა (დ.1960).

57/44. ელიზბარ რევაზის ძე (დ.1959) ~ მარიკა თეიმურაზის ასული ოსიტაშვილი (დ.1956).

58/44. მამუკა ალექსანდრეს ძე (დ.1969) ~ თამარ გიორგის ასული ჯიჭონაია (დ.1967).

ნუსხა 8

სოფ. თეკლათი



4/1. დიმიტრი (შამში) ივანეს ძე (15.01.1846-30.08.1913) პრაპორშჩიკი ~ (24.02.1880) ნატალია, თავად ნიკო წულუკიძის ასული (1855-1885), სოფ. დედალაური.

5/1. დავით ივანეს ძე (1847-1.12.1878) ~ როქსანა (როსკა), თავად კაცია დადიანის ასული (1847-?), ს.ჯვარი.

6/1. ნინო ივანეს ასული (1848-3.02.1903) ~ 8.10.1862 თავადი ივანე ბეკუს ძე ფაღვა (1831-1882), სოფ. ბანძა.

7/1. კესარია (ცუცუ) ივანეს ასული (1850-?) ~ 7.03.1870 თავადი დიმიტრი გრიგოლის ძე დადიანი (1827-1877), წალენჯიხა.



ბესარიონ გრიგოლის ძე მხეიძე ანეტა წერეთელთან და შვილთან ალექსანდრესთან ერთად (ნუს. 8; №18,29)

8/1. ნესტორ ივანეს ძე (20.01.1856-?) ~ ოლა, თავად ნიკოლოზ დადიანის ასული (1863-?), სოფ. ქვაშიხორი.

